

## 2010 წლის სამოქმედო გეგმის შინაარსობრივი ნაწილის დანართი №1:

სახალხო დამცველთან არსებული ტოლერანტობის ცენტრისა და ეროვნულ უმცირესობათა საბჭოს მიერ 2010 წლის განმავლობაში დაგეგმილი ღონისძიებების/აქტივობების ჩამონათვალი:

- სემინარი ეროვნული უმცირესობების ახალგაზრდა წარმომადგენლებისათვის „ინტეგრაცია და ტოლერანტობა“;
- სემინარი ჟურნალისტებისთვის ე.წ. „შუღლის ენის“ აღმოფხვრის შესახებ;
- სახალხო დამცველის პერიოდული ჟურნალის "სოლიდარობა" გამოცემა;
- წიგნის "ეთნოსები საქართველოში" CD-ვერსიის კონტენტის მომზადება, ტექნიკური დამზადება, გავრცელება;
- შემწყნარებლობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კონცეფციისა და 2010 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგი;
- შემწყნარებლობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კონცეფციისა და სამოქმედო გეგმაში ეროვნული უმცირესობების საჭიროებების სრულყოფილად ასახვის მიზნით რეკომენდაციების შემუშავება;
- სახელმწიფო უწყებებთან გაფორმებული თანამშრომლობის მემორანდუმის ფარგლებში ეროვნულ უმცირესობათა საბჭოსა და სახელმწიფო უწყებების წარმომადგენელთა სამუშაო შეხვედრები;
- ტოლერანტობის საერთაშორისო დღის აღნიშვნა 2010 წლის 16 ნოემბერს.

აღსანიშნავია, რომ ეს აქტივობები არ არის ასახული შემწყნარებლობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის ეროვნული კონცეფციის სამოქმედო გეგმაში და შესაბამისად არ არის ამ გეგმის ნაწილი, მაგრამ *ტოლერანტობის ცენტრისა და ეროვნულ უმცირესობათა საბჭოს*<sup>1</sup> ზემოთ ჩამოთვლილი აქტივობები, მიზნად ისახავს და ხელს უწყობს, საქართველოში სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნული უმცირესობების უფლებების დაცვას.

<sup>1</sup> <http://ombudsman.ge/index.php?page=63&lang=0>

სახალხო დამცველთან არსებული ტოლერანტობის ცენტრის საქმიანობა ხორციელდება გაეროს განვითარების პროგრამის<sup>2</sup> მხარდაჭერით. სახალხო დამცველთან არსებული ეროვნულ უმცირესობათა საბჭოს საქმიანობა ხორციელდება უმცირესობათა საკითხების ევროპული ცენტრისა<sup>3</sup> და გაეროს განვითარების პროგრამის<sup>4</sup> მხარდაჭერით.

---

<sup>2</sup> [http://undp.org.ge/new/index.php?sec\\_id=17&lang\\_id=GEO](http://undp.org.ge/new/index.php?sec_id=17&lang_id=GEO)

<sup>3</sup> <http://www.ecmigeorgia.org/>

<sup>4</sup> [http://undp.org.ge/new/index.php?lang\\_id=GEO&sec\\_id=40&pr\\_id=73](http://undp.org.ge/new/index.php?lang_id=GEO&sec_id=40&pr_id=73)